მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

ზესტაფონი
2021

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის (შემდგომში – სკოლა) მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სკოლის დებულების თანახმად არჩეულ სკოლის დამოუკიდებელ სტუქტურულ ერთეულს.

2. მოსწავლეთა თვითმმართველობა (შემდგომში – თვითმმართველობა) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სკოლის დებულებით, შინაგანაწესით და წინამდებარე დებულებით.

3. თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორისა და სკოლის პარტნიორთა კრების წინაშე.

მუხლი 2. თვითმმართველობის ამოცანები და ფუნქციები

სასკოლო თვითმმართველობა:

1. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
2. უფლებამოსილია პარტნიორთა კრებას წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
3. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, აყენებს დირექციის წინაშე საკითხს სასკოლო კლუბების შექმნასთან დაკავშირებით;
4. ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვას;
5. უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები სკოლის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
6. მონაწილეობს შიდასასკოლო ღონისძიებების ორგანიზებაში;
7. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ ეთიკის ნორმების და დისციპლინის დაცვას;

მუხლი 3. თვითმმართველობა და ხელმძღვანელობა

1. სპს „თავაძე და კომპანია“სკოლა „ანაბასისის“ მოსწავლეთა თვითმმართველობაში თანასწორობის დაცვით, ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე თითოეული კლასიდან აირჩევა არაუმეტეს ორი მოსწავლე.
2. თვითმმართველობას ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის თავჯდომარე, რომელსაც ირჩევენ თვითმმართველობის წევრები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით პარტნიორთა კრების თანხმობის შემთხვევაში.